01-11 27.01.2026

ბრძანება

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწვრთნელთა ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის და ისტორიის კათედრაზე ფიზიკური აღზრდის თეორიის და მეთოდიკის, სპორტული წვრთნის საფუძვლების მიმართულებით ასოცირებული-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის, 25-ე მუხლის, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის და ისტორიის კათედრის გამგის ვასილ ბაკაშვილის 2026 წლის 27 იანვრის N 03/26 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2026 წლის 28 იანვარს გამოცხადდეს კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (1 საშტატო ერთეული) მწვრთნელთა ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის და ისტორიის კათედრაზე საგანში - **ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, სპორტული წვრთნის საფუძვლები.**

2. კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსანტების მიერ განაცხადის წარდგენა - 2026 წლის 27 თებერვლიდან 2026 წლის 12 მარტის ჩათვლით;

გ) საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევა/განხილვა - 2026 წლის 19 მარტიდან 2026 წლის 26 მარტის ჩათვლით;

გ) შერჩეული კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილების წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისათვის 2026 წლის 27 მარტს;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება - 2026 წლის 1 აპრილს.

2. კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია;
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი);
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში - ელ.ვერსია;

3. კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www sportuni.edu.ge).

4. საკონკრსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. N55. ტელ: 032 256-05-01

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტს ამ გრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.sportuni.edu.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.
7. გრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი ტრისტან გულბიანი